საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, დიღმის მასივის V კვარტალში, წიგნის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ, ინდ. მშენებლობა-ამხანაგობა „დიღომი-5“-ის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგების შესახებ“.

ქ. თბილისის ამხანაგობა „ახალშენი-2001“-ის ხელმძღვანელობის დავალებით ჩვენს მიერ 2019 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ზემოაღნიშნული სამსენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიურ კვლევებზე წარმოდგენილი ანგარიშის ექსპერტიზა.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, დიღმის მასივის V კვარტალში, წიგნის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ, ინდ. მშენებლობა-ამხანაგობა „დიღომი-5“-ის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ჩატარებული იქნა შპს „აკადემშენი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ვ. ჯაფარიძე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიში მოედნის საინჟინრო გეოლოგიურ პირობებზე--------- 34 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი წყლის ქიმიურ ანალიზზე---------- 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 5 ფურც.

საკვლევი მოედანი მდებარეობს დიღმის მასივის V კვარტალში. ტერიტორია შედარებით მჭიდროდ არის დასახლებული, რამაც გაართულა მშენებარე სახლებზე გეოლოგიური მასალის მოკვლევა. ტერიტორია ვაკეა, მცირე დახრით მდ. მტკვრის მიმართულებით. აბსოლიტური ნიშნულები იცვლება 418 მ-დან 419მ-მდე. მდინარე მტკვრიდან მოედანი დაშორებულია 10-150 მეტრით. მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი, თითოეული 12 მ. სიგრძის. მათი საერთო სიგრძე შეადგენდა 48 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების დასახასიათებლად. შედეგები მოცემულია ცხრილის სახით. ყურადღება განსაკუთრებით არის გამახვილებული გრუნტის სიმტკიცის მაჩვენებლებზე.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი (t,Q_{IV});
2. ფენა 2 და ფენა 4 – თიხნარი (dp,Q_{IV});
3. ფენა 3 და ფენა 5 – კენჭნარი;

4. ფენა 6 – ძირითადი ქანები - არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

ანგარიშში განხილულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. ნაყარ გრუნტზე აღნიშნულია, რომ იგი არ განიხილება შენობის ფუძე-გრუნტებად და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა.

მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილი არის დელუვიურ-პროლუვიური წარმოშობის თიხნარებით. როგორც გეოლოგიური ჭრილიდან ჩანს თიხნარების შემდეგი ფენა კენჭნარებით არის წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ ისევ თიხნარების ფენა მეორდება. თიხნარების ზედა ნაწილი განსხვავდება ქვედა ნაწილისაგან იმით, რომ ქვედა ნაწილი იმყოფება წყლის ქვეშ, ამიტომ მათი სიმტკიცის მაჩვენებლები სხვადასხვაა. თიხნარების სიმძლავრე იცვლება 3.1-3.8 მეტრის ფარგლებში.

მოედნის შემდეგი ფენა კენჭნარებითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში კენჭნარები სიმძლავრის მიხედვით ორი ნაწილისგან შედგება: ზედა ნაწილი და ქვედა ნაწილი. მათ შორის კენჭნარი ფენაა. კენჭნარების სიმძლავრე (ორივე ფენის) იცვლება 4.3-4.7 მეტრის ფარგლებში.

მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილია ძირითადი ქანებით, მესამეული ასაკის არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. მათი წოლის ელემენტებია ჩრდ. აღმოსავლეთი 320^0, ხოლო ქანების დახრა $20\text{-}30^0$. ანგარიშში მოცემულია მათი სიმტკიცის მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირებული იქნა მიწის ზედაპირიდან 7 მ. სიღრმეზე წყალი არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დასკვნებში აღნიშნულია, რომ შენობის ფუძე-გრუნტებად შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც თიხნარები, ისე ძირითადი ქანები – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

ანგარიშის მიმართ გა,ოვთქვამთ შემდეგ შენიშვნებს:

1. ფუძე-გრუნტებად შეიძლება გამოყენებული იქნას მესამე ფენაც – კენჭნარებიც;
2. სტატისტიკური ანგარიშის შედეგად C_1 და C_2 შორის განსხვავება მეტად მცირეა, ჩვენი ანგარიშით C_2=0.53 კგ/სმ^2, რაც უნდა შესწორდეს ანგარიშში.
3. დასკვნაში დამუშავების სიძნელის მიხედვით გრუნტების კატეგორიის საკითხის დადგენისას არგილითები და ქვიშაქვები ერთ კატეგორიად არის გაერთიანებული, ჯობდა მათი კატეგორია ცალკ-ცალკე ყოფილიყო განხილული.

დ ა ს კ ვ ნ ა

ანგარიში შესრულებულია პროფესიულ დონეზე და იგი შეიძლება დაედოს საფუძვლად პროექტს, ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ამავე ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ-
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
ინსტიტუტის რექტორი
მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский ...

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

Nº ღ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგ. განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჯობნელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კვეველიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ: საწმენებლო ფაკულტეტი, წმენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფ „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს იწგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის,. ქ. რუსთავ სობუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობ, გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად;

ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
მისამართი, ტელეფონის №, ფაქსი	ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №10, ბინა №25 ტელ.: 22-00-44
დაბადების თარიღი	ქ. თბილისი, 16.02.1928 წ.
განათლება	1950 წ. დაამთავრე საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელი ინჟინერი (დიპლომი); 1972 წ. დაამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟ. გეოლოგი (დიპლომი)
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წ. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი); 1975 წ. პროფესორი – საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი)
სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება	1958–1983 წწ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლ. და საინჟინრო გეოლოგიის ინსტ. დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წ. დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე
გამოქვეყნებული მეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნ. შრომა, მათ შორის მონოგრაფია – საქართველოს ლიოსისებური გრუნტები (1976 წ.). შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, რუსთაველისა და ფოთის საინჟ. გეოლოგიურ პირობებზე. გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტების საინჟ. გეოლოგიურ პირობებზე.
მეცნიერო, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	დაწერილი მაქვს ანგარიშები საქ. მინ. აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟ. გეოლოგიის ინსტიტუტში წარმოდგენილ რამდენიმე საგრანტო თემაზე. ისინი ეხება საინჟ. გეოლოგიის სხვადასხვა საკითხს. მასალები ინახება ინსტიტუტის არქივში.
ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად ინგლისური – ლექსიკონის დახმარებით

გ. ჭოხონელიძე